

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“ბი მობაილი” ს.კ. 204490577

2024 წლის შპს „ბი მობაილის“-ს კონსოლიდირებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ზი მობაილი”

ს.კ. 204490577

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს “ზი მობაილი” ს.კ. 204490577 თავის შვილობილ კომპანიასთან ერთად არის რეზიდენტი იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნდა 2005 წლის 3 ნოემბერს, იურიდიულ მისამართზე: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბარათაშვილის ქ., 8, სართ. 3, კომპანიის ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირია კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი ეკატერინე არონია პ.ნ 62006054912.

შპს „ზი მობაილი“ ს.კ. 204490577 (შემდგომში კომპანია) არის მობილური კონტენტის პროვაიდერი საქართველოში, რომელიც სთავაზობს მობილურ ოპერატორებს დამატებითი ღირებულების მომსახურებებს (VAS -Value Added Services), კომპანია ამ ეტაპზე საქმიანობს მოკლე სმს ნომრების გამოყენებით, ის ჩართულია SMPP კავშირით სამივე მობილურ ოპერატორთან და მოკლე ნომრების და ზარების საშუალებით უზრუნველყოფს კონტენტების გაყიდვას საიტებიდან, ხმების დათვლას პირდაპირი ეთერის დროს სხვადასხვა კონკურსებზე, სმს გზავნილებს, ვიქტორინებს და სხვა.

შპს “ზი მობაილის” შვილობილი საწარმოებია შპს “აგრონია” ს.კ 405524482, რომელიც დააფუძნა 2022 წლის 12 აპრილს, შპს „ბინეო“ ს.კ 405515535, რომელიც დაფუძნებულია 2022 წლის 18 მარტს და შპს „ამარეთი“ (ს.კ 405660976) რომელიც დაფუძნებულია 2023 წლის 27 ნოემბერს, რომლის 100% წილის მფლობელია მშობელი საწარმო შპს “ზი მობაილი” ს.კ. 204490577.

შვილობილი საწარმოების შპს „ბინეოს“ ძირითადი საქმიანობაა სასოფლო სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ ცხვრების მოშენება და რეალიზაცია. შპს „აგრონია“-ს აქვს შეძენილი სასოფლო სამეურნეო მიწა და შექმნა სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის, ასევე შპს „ამარეთი“ ფლობს შენობა ნაგებობას მისამართზე ქ. თბილისი, ანტონ კატალიკოსი #6-ში, შემდგომი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

ცალ ცალკე შვილობილი საწარმო მიეკუთვნება მეოთხე კატეგორიას. ნაერთი კონსოლიდირებული ანგარიში მესამე კატეგორიის საწარმოა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები

კომპანიის ფინანსური ანგარიში სრულყოფილად არის წარმოდგენილი, ინფორმაცია იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ იგი გასაგებია მომხმარებლისათვის, რომლებსაც გააჩნია ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ოპერაციები და მოვლენები ასახულია ეკონომიკური შინაარსის და სამართლებრივი ფორმის შესაბამისად, არის საიმედო, არ შეიცავს არსებით შეცდომებს და არ არის ტენდენციური და სამართლიანად ასახავს ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

კომპანიის აქტივების, შემოსავლების, ვალდებულებების და ხარჯების შეფასების მსჯელობისას გათვალისწინებული იქნა პროფესიული წინდახედულება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კომპანიის სხვადასხვა წლების საქმიანობის მაჩვენებლები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე გამოყენებული იქნა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებულია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა.

კომპანიის ფინანსური ინფორმაცია არსებითია, შესაბამისი და შეესაბამება მომხმარებელთა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

კომპანიის მენეჯმენტი ხელმძღვანელობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით – მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. ფინანსური ანგარიშგები შედგენილია ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, როგორიც არის; აღქმადობა, შესაბამისობა, არსებითობა, საიმედოობა, შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა, სისრულე, შესადარისობა და დროულობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანიას გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას არ ააქვს განსაზღვრული ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია ასე მოიქცეს.

ფინანსური მდგომარეობა

შპს “ბი მობაილი” ს.კ. 204490577

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

№	საბალანსო მუხლის დასახელება	კოდი	მშობელი შპს”ბი მობაილი”	შვილობილი საწარმო შპს „აგრონია“	შვილობილი საწარმო შპს”ბინეო”	შვილობილი საწარმო შპს”ამარეთი”	ნაერთი
1	2	3	4	5	6	7	8
1	მარაგები	1600	0	0	63016	3437	66453
2	მოთხოვნა ბიუჯეტი	3300	62161	25	1668	0	63854
3	ეროვნული ვალუტა ბანკში	1210	11797	8088	100	587	20572
4	უცხო ვალუტა ბანკში	1220	6612	0	0	752	7364
5	მომწოდებლები	3110	0	0	3	0	3
6	მოთხოვნები მიწოდებიდან	1410	506180	0	0	0	506180
7	მცირეფასიანი აქტივები	1900	0	0	1100	0	1100
8	სხვა მოთხოვნები		195000	0	0	0	195000
9	ხელფასი	3130	0	0	0	0	0
	სულ მოკლე ვადიანი აქტივები		781750	8113	65887	4776	860526
10	მიწის ნაკვეთი	2110	30489	180800	93000	0	304289
11	შენობა	2130	0	0	2400	947157	949557
12	არამატერიალური აქტივები	2500	300	0	0	0	300
13	მანქანა დანადგარები	2150	0	0	4204	0	4204
14	ოფისის აღჭურვილობა	2160	10084	0	0	0	10084
15	ცხვრები	2190	0	0	347036	0	347036
16	წილი შპს	2400	1277017	0	0	0	1277017
	გრძელვადიანი აქტივები	2000	1317890	180800	446640	947157	2892487
	სულ აქტივები	1000+2000	2099640	188913	512527	951933	3753013
17	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	0	0	8402	2524	10926
18	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	3160	672	0	0	0	672
19	ბანკის სესხი	3220	84988	0	0	712744	797732

20	სხვა ვალდებულებები	3190	202963	0	0	0	202963
21	ბიუჯეტი	3300	0	0	0	4123	4123
	სულ	3000	288623	0	8402	719391	1016416
22	საწესდებო კაპიტალი	5150	2000	190000	733420	353542	1278962
23	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	5300	1809017	-1087	-229295	-121000	1457535
24	საკუთარი კაპიტალი	5000	1811017	188913	504125	232542	2736597
	საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3000+5000	2099640	188913	512527	951933	3753013

კონსოლიდირებული ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	კავშირგაბ- მულობის საშუალებე ბი	მანქანა დანადგა რები	ოფისის აღჭურვი- ლობა	მიწის ნაკვეთი	შენობა	ბიოლოგი ური აქტივი (ცხვარი)	კონსო- ლიდირე- ბული
1	2	3	4	5	6	7	8
ისტორიული ღირებულება							
შპს “ბი მობაილი ”	0	0	35774	30489	0	0	66263
შპს “აგრონია”	0	0	0	180800	0	0	180800
შპს „ბინეო“	0	5255	0	93000	4000	347036	449291
შპს „ამარათი“	0	0	0	531409	437554	0	968963
ჯამი	0	5255	35774	835568	441554	347036	1665317
დაგროვილი ცვეთა							
შპს “ბი მობაილი ”	0	0	25690	0	0	0	25690
შპს “აგრონია”	0	0	0	0	0	0	0
შპს „ბინეო“	0	0	0	0	1600	0	1600
შპს „ამარათი“	0	0	0	0	21806	0	21806
ჯამი	0	0	25690	0	23406	0	49096

საბალანსო ღირებულება							
შპს “ბი მოზაილი”	0	0	10084	30489	0	0	40573
შპს “აგრონია”	0	0	0	180800	0	0	180800
შპს „ბინეო“	0	5255	0	93000	2400	347036	447691
შპს „ამარათი“	0	0	0	531409	415748	0	947157
ჯამი	0	5255	10084	835698	418148	347036	1616221

შპს “ბი მოზაილი” ს.კ. 204490577

კონსოლიდირებული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ხარჯების ცნება მოიცავს ზარალს და ასევე ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოშობილი ხარჯებია, მაგალითად: გაყიდული საქონლის ან მომსახურების თვითღირებულება, ხელფასები და ცვეთა. როგორც წესი, კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები პრაქტიკაში სხვადასხვა სახის აქტივების შემცირებით ან კომპანიიდან გასვლით გამოიხატება, როგორიცაა, მაგალითად ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, მარაგი ან ძირითადი საშუალებები.

№	დასახელება	შპს ბი მოზაილი	შპს “ბინეო”	შპს „აგრონია“	შპს „ამარათი“	კონსოლიდირებული
1	2	3	4	5	6	7
2	საოპერაციო ხარჯი	1647007	0	0	0	1647007
3	შრომის ანაზღაურება	122350	62541	0	8291	193182
4	სოციალური ანაზღაურებები	100	1241	0	166	1507
5	ცვეთა და ამორტიზაცია	6856	1581	0	21806	30513
6	ბანკის მომსახურების	4373	111	61	1350	5895
7	ქონების გადასახადი	118	75	0	6190	6383
8	მიმდინარე რემონტი	0	2178	0	0	2178
9	საკომუნიკაციო მომსახურება	4985145	0	0	0	4985145

10	საბუღალტორო მომსახურება	3000	0	0	0	3000
11	სხვადასხვა	31275	8483	0	57290	97048
12	მიწის გადასახადი	160	8	0	249	417
	სულ	6800384	76488	61	95342	6972275

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არის მისი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა გარკვეული თარიღისთვის, რომლისთვისაც წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ზემოაღნიშნული ელემენტები შემდეგნაირად განიმარტება:

-აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

- ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი; და

- საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

აქტივები

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი, ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში. ფულადი სახსრების შემოსვლა შესაძლოა განხორციელდეს, როგორც აქტივის გამოყენების, ასევე საწარმოდან მისი გასვლის შედეგად.

აქტივი იმ შემთხვევაში აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენების შედეგად მომავალში საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და, ამავე დროს, ამ აქტივს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ვალდებულებები

საწარმოს ვალდებულების განუყოფელი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მას გააჩნია მიმდინარე ვალდებულება, რაღაც კონკრეტული გზით იმოქმედოს ან რაიმე გააკეთოს. ამგვარი ვალდებულება შეიძლება იყოს იურიდიული, ან კონსტრუქციული.

მოგება-ზარალის ანგარიში

შპს “ზი მობაილი” ს.კ. 204490577

კონსოლიდირებული საქმიანობის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანიის საქმიანობის შედეგები არის კომპანიის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობა საანგარიშგებო პერიოდში. ნებადართულია როგორც ერთ ფინანსურ ანგარიშგებაში (სრული შემოსავლის ანგარიშგება), ასევე ორ ფინანსურ ანგარიშგებაში (მოგებასა და ზარალის ანგარიშგება და სრული შემოსავლის ანგარიშგება).

შემოსავალი არის კომპანიის ეკონომიკური სარგებლის ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება კომპანიის საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან.

ხარჯი არის კომპანიის ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების კომპანიიდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველი.

№	შემოსავლის და ხარჯების დასახელება	+ -	მშობელი შპს“ზი მობაილი”	შვილობილი საწარმო შპს „აგრონია“	შვილობილი საწარმო შპს“ზინეო”	შვილობილი საწარმო შპს „ამარათი“	ნაერთი
1	2	3	4	5	6	7	8
1	შემოსავალი						
2	კავშირგაბმულობის მომსახურების ღ-ბა	+	7430407	0	0	0	7430407
3	ცხვრების რეალიზაცი	+	0	0	62400	0	62400
4	კურსთა შორის სხვაობა	+	6816	0	2200	0	9016
	სულ შემოსავალი	+	7437223	0	64600	0	7501823
5	საოპერაციო ხარჯები		1647007	0	0	0	1647007
6	ბანკის მომსახურების	-	4373	61	111	1350	5895
7	ძ.ს. ცვეთა	-	6856	0	1851	21806	30513
8	აბონიშების კავშირგაბმულობის მომსახურების შეძენის ღ-ბა	-	4985145	0	0	0	4985145
9	ხელფასი	-	122350	0	62541	8291	193182
10	საპენსიო გადასახადი	-	100	0	1241	166	1507
11	ქონების გადასახადი	-	118	0	75	6190	6383
12	ბუღალტრული მომსხ.	-	3000	0	0	0	3000
13	მიმდინარე რემონტის ხარჯი		0	0	2178	0	2178
14	მიწის გადასახადი		160	0	8	249	417
15	სხვადასხვა ხარჯები	-	103709	0	8860	81562	194131
	სულ ხარჯები	-	6872818	61	76865	119614	7069358
	მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	-	564405	-61	-12265	-119614	432465

შპს “ზი მობაილი” ს.კ. 204490577

**კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის**

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განყოფილება “საკუთარი კაპიტალი” შეიძლება დაიყოს ქვეკატეგორიებად. მაგალითად კომპანიისათვის ეს კატეგორიები შეიძლება იყოს პარტნიორთა შენატანები (საწესდებო კაპიტალი), გაუნაწილებელი მოგება, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი, გრანტები და სხვა.

№	ოპერაციის შინაარსი	მშობელი შპს“ზი მობაილი”	შვილობილი საწარმო შპს „აგრონია“	შვილობილი საწარმო შპს“ზინეო”	შვილობილი საწარმო შპს „ამარათი“	ჯამი
1	2	3	4	5	6	7
1	საწესდებო კაპიტალი	2000	190000	636450	29600	858050
2	გაუნაწილებელი მოგება	2066533	-1027	-217030	-1565	1846911
3	საკუთარი კაპიტალი 1.01.24წ	2068533	188973	419420	28035	2704961
4	საკუთარი კაპიტალის მატება	0	0	96970	323942	420912
5	საწესდებო კაპიტალის მატება	0	0	96970	323942	420912
6	საკუთარი კაპიტალის შემცირება	257516	60	12265	119435	389276
7	მიმდინარე წლის ზარალი	257516	0	12265	119435	389216
8	საწესდებო კაპიტალის შემცირება	0	60	0	0	60
9	საკუთარი კაპიტალი 1.01.24წ	1811017	188913	504125	232542	2736597
10	საწესდებო კაპიტალი	2000	190000	733420	353542	1278962
11	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	1809017	-1087	-229295	-121000	1457635

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება:

- აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. -- -ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის.

-რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში.

აღიარებისა და შეფასების საყოველთაო პრინციპები

დარიცხვის მეთოდი

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, უნდა მოამზადოს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სადარიცხოვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად უნდა აღიარდეს იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში

ვალდებულებები

საწარმომ ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აღიაროს იმ შემთხვევაში, როდესაც:

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გააჩნია ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად;

მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოდან რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი; და ვალდებულების დასაფარად აუცილებელი თანხის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ხარჯები

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

მთლიანი სრული შემოსავალი და მოგება ან ზარალი

მთლიანი სრული შემოსავალი არის შემოსავალსა და ხარჯებს შორის არითმეტიკული სხვაობა. მთლიანი სრული შემოსავალი არ არის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი ელემენტი და მისთვის საჭირო არ არის განსხვავებული აღიარების პრინციპის არსებობა.

მოგება ან ზარალი არის შემოსავლებისა და ხარჯების ისეთ მუხლებს შორის არითმეტიკული სხვაობა, რომლებიც, არ კლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლის შემადგენელ კომპონენტებად. მოგება ან ზარალი არ არის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი ელემენტი და მისთვის საჭირო არ არის განსხვავებული აღიარების პრინციპის არსებობა.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ყველა სხვა ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს მოგებაში ან ზარალში.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების უმეტესობა, რომლებსაც საწარმო თავდაპირველად პირვანდელი ღირებულებით აღიარებს, შემდგომში შეფასდება სხვა საფუძვლით. მაგალითად, საწარმო:

ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი), ან გადაფასებულ ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (გადაფასების მოდელი).

მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და

გაუფასურების ზარალს აღიარებს ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად. სასოფლო-სამეურნეო აქტივები (ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღების მომენტში), რომელსაც საწარმო აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით ; და

ძირითადი საშუალებები, რომლებსაც საწარმო აფასებს გადაფასების მოდელის შესაბამისად.

არაფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის

ურთიერთგადაფარვა

დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

სამართლიანი წარდგენა

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოაჩინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი სახსრების მოძრაობა. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების კეთილსინდისიერად ასახვას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ, თუ მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მაინც მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით.

თუ შეფასების დროს საწარმოს ხელმძღვანელობისთვის ცნობილია მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს საწარმოს უნარზე, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ეს არსებითი მოვლენები. თუ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება არ მოუმზადებია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი და განმარტოს საფუძველი, რის მიხედვითაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება; ასევე ახსნას მიზეზი, რის გამოც მოცემული საწარმო არ მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ.

ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც.

წარდგენის უცვლელობა

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შეინარჩუნოს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.


შესადარისი ინფორმაცია

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის მიხედვით. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს თხრობითი და აღწერილობითი ინფორმაციისთვისაც, თუ ამის გაკეთება აუცილებელია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

არსებითობა და აგრეგირება

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში განცალკევებით უნდა წარადგინოს მსგავსი მუხლების ყველა არსებითი კლასი. საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს განსხვავებული შინაარსის, ან ფუნქციის მქონე არსებითი მუხლები.

ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება ინდივიდუალურად ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული ან არასწორად წარმოდგენილი მუხლის, ან შეცდომის სიდიდესა და ხასიათზე, რისი განხილვაც უნდა ხდებოდეს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. მუხლის სიდიდე ან ხასიათი, ან ორივე ერთად არსებითობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია.



დირექტორი:

ეკატერინე არონია პ/ნ 62006054912

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	7501823	7404793
საქონლის გაყიდვიდან	2200	47730
მომსახურების გაწევიდან	7430407	6729960
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	69216	627103
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	7501823	7404793
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-193182	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-30513	-6317
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-54763	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6790900	-186643
სულ საოპერაციო ხარჯები	-7069358	-192960
საოპერაციო მოგება	432465	7211833
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-5498479
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	432465	1713354
მოგების გადასახადის ხარჯი	-95150	-119694
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	337315	1593660
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზ	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გაყ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	337315	1593660
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	337315	1593660
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	337315	1593660
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	337315	1593660
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	337315	1593660
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2705140	1557813
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის	420912	231930
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-726770	-678263
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2736597	2705140

დირექტორი:

ეკატერინე არონია პ./ნ 62006054912



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27936	328388	22893
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	506180	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	195000	0	0
მარაგები	63016	3559	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	63016	3559	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	68394	1320829	1186566
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	300	300	300
ძირითადი საშუალებები	1615170	328114	461117
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	1277017	856105	624175
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	308289	127489
სულ აქტივები	3753013	3145584	2422540
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	854226
სავაჭრო ვალდებულებები	202963	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9074	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	4123	3952	9164
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	797732	9512	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	426980	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2524	0	1337
სულ ვალდებულებები	1016416	440444	864727
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი')	1278962	858050	626120
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1457635	1847090	931693
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	2736597	2705140	1557813
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2736597	2705140	1557813
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3753013	3145584	2422540
სულ მოკლევადიანი აქტივები	860526	328388	22893
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1016416	0	0
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

დირექტორი:

ეკატერინე არონია პ./ნ 62006054912

